- **წყლის** სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის სფეროში ათვისებულია 464,7 ათასი ლარი ნაცვლად 1112,4 ათასი ლარისა. 285,7 ათასი ლარი შეადგენს ააიპ "თეთრიწყარო წყალის" სუბსიდირებას. 20,9 ათასი ლარით დაფინანსდა წყალმომარაგების სისტემის საპროექტო სადარჯთაღრიცხო და საპოგნოზო ჰიდროგეოლოგიურ დასკვნებზე დოკუმენტების მომზადება. აგრეთვე 38,1 ათასი ლარით დაფინანსდა ბორბალოს ჭაბურღილის მოწყობა (2016-2017); 10,5 ათასი ლარით დაფინანსდა ენაგეთის ჭაბურღილის მოწყობა (2016-2017). სოფელ ასურეთში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გახარჯული იქნა 24,9 ათასი ლარი (2016-2017) სოფელ პატარა თონეთში არსებული სასმელი წყლის წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წელს დაფინანსდა 2,2 ათასი ლარით (2016-2017 წწ.).

სოფლების გოლთეთის, ქოთიშის , დურნუკის, მაწევნის და წინწყაროს წყლის სათავე ნაგებობების და ფილტრების მოწყობის სამუშაოებზე გახარჯულია 36,5 ათასი ლარი. სოფელ ასურეთში ყაზბეგის ქუჩაზე სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გახარჯულია 19,8 ათასი ლარი (ობიექტი დასრულებულია). სოფელ ხაიში სასმელი წყლის წყალშემკრები ავზის მოწყობის სამუშაოებზე გახარჯულია 26.0 ათასი ლარი.

- **საკანალიზაციო** სისტემის მოწყობა რეაბილიტაციის მუხლიდან ათვისებულია 611,0 ათასი ლარი ნაცვლად 952,5 ათასი ლარისა. 3,5 ათასი ლარი გაწეულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდის მომსახურეობაზე, ხოლო 607,6 ათასი ლარი გახარჯულია დაბა მანგლისში თამარ მეფის ქუჩის, სტალინის ქუჩის, დემეტრაშვილის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოებზე,

❖ **გარე განათების** მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯმა შეადგინა 179,4 ათასი ლარი 320,0 ათასი ლარის ნაცვლად, საიდანაც გარე განათების მომსახურების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 119,5 ათასი ლარი, ხოლო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის საექსპლუატაციო მომსახურეობაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 59,9 ათასი ლარი.

❖ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების **დაგვა დასუფთავების** მომსახურეობაზე და ნარჩენების შეგროვება-გატანის და ნაგავსაყრელების მოვლა პატრონიბის მომსახურეობაზე გახარჯულია 472,8 ათასი ლარი.

❖ **სტიქიის შედეგების** სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების ხარჯიდან ათვისებულია 643,9 ათასი ლარი. ნაცვლად 1236,2 ათასი ლარისა. აღნიშნული ხარჯი შეადგენს 2016 წლის გარდამავალი ხელშეკრულებებიდან აღებული ვალდებულებების ხარჯს კერძოდ: სოფელ ნავთიანში მისასვლელი სახიდე გადასასვლელების აღსადგენად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება 20,0 ათასი ლარი.ხოლო 7,3 ათასი ლარით დაფინანსდა სოფელ სამღერეთში სასმელი წყლის ორი ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №1340 განკარგულების გამოყოფილი 843,3 ათასი ლარიდან 9 თვეში გხარჯული იქნა სოფელ ახალსოფელში, სოფელ კლდეისში და სოფელ ვაშლოვანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაობზე 616,5 ათასი ლრი

❖ **საბავშო ბაღების,** სპორტული მოედნების და ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციის ხარჯებიდან ათვისებულია 450,7 ათასი ლარი ნაცვლად 1157,1 ათასი ლარისა. საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადეზე გახარჯული იქნა 6,7 ათასი ლარი, სოფელ ასურეთის საბავშვო ბაღის მშენებლობაზე მიმდინარე წელს გახარჯული იქნა 120,1 ათასი ლარი, სოფელ სამღერეთის საბავშო ბაღის მშენებლობაზე - 112,9 ათასი ლარი, 113,5 ათასი ლარით დაფინანსდა საბავშო ბაღების გათბობის მოწყობითი სამუშაოები, მათ შორის: 65,3 ათასი ლარით დაფინანსდა სოფასურეთის და სოფელ სამღერეთის საბავშვო ბაღის ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები (2016-2017 წ.წ.)

მიმდინარე წელს 16,2 ათასი ლარით დაფინანსდა ქ.თეთრიწყაროში მუზეუმის შენობის საკანალიზაციო ქსელისა და საპირფარეშოს სარეაბილიტაციო სამუშაოები (2016-2017 წ.წ.).

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 6,2 ათასი ლარით დაფინანსდა სოფელ ერტისში მდებარე სარიტუალო დარბაზისათვის სამზარეულოს მისაშენებლად სამშენებლო სამუშაოები (2016-2017 წ.წ.).

მიმდინარე წელს დაფინანსდა 2015 წელს დაწყებული სამუშაოები, კერძოდ, 0,4 ათასი ლარით დაფინანსდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში ი.გ.პ. დასახლებაში არსებული შენობის (მუსიკალური სკოლის) სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

დაბა მანგლისში საზოგადოებრივი ცენტრისათვის კედლის ელექტრო ქვაბის შესყიდვისთვის გახარჯული იქნა 4,4 ათასი ლარი

სოფელ მარაბდაში სარიტუალო სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება გახარჯული იქნა 5,0 ათასი ლარი.

- ❖ **ურბანული ტერიტორიის** მოწყობის ხარჯმა შეადგინა 66,2 ათასი ლარი ნაცვლად 124,4 ათასი ლარისა. კერძოდ 20,0 ათასი ლარით განხორციელდა ქვემო ქართლის რეგიონში რეგიონალური განვითარების სააგენტოს ფონდის თანადაფინანსება.

  სოფელ ხაიშის და დაბა მანგლისის სასაფლაოების შემოღობვის დასასრულებლად საჭირო მასალების მიწოდებით შესყიდვაზე გახარჯული იქნა 5,2 ათაი ლარი

  წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით და დანართი №2-ით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობ ანალიტიკურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი ვიდეოსამეთვალყურეო კამერების სრული კომპლექტაციის შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმებული იქნა 71,9 ათას ლარზე ხოლო ათვისებულია 41,0 ათასი ლარი.
- ❖ **მიწის საკადასტრო** აზომვითი ნახაზების მომზადებისა და სადარჯთაღრიცხო სამუშაოებისათვის გახარჯულია 2,3 ათასი ლარი.
- ❖ **სოფლის მხარდაჭერის** პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების თანხიდან ათვისებულია 112,1 ათასი ლარი. ნაცვლად 284,6 ათასი ლარისა. აღნიშნული თანხა გახარჯულია 2015-2016 წელს გაფორმებული გარდამავლი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე, ანგარიშსწორება ხორციელდება სს სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ.

- ✓ **განათლება 514,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (786,0 ათასი ლარი) 65,4 %**
- ✓ **თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 64,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (92,8 ათასი ლარი) 69,2 %**
- ✓ **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 635,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (848,5 ათასი ლარი) 74,9 % მათ შორის:**

- ❖ ააიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის" ხარჯმა შეადგენა 118,1 ათასი ლარი, ნაცვლად 165,0 ათასი ლარისა.
- ❖ ააიპ „თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი"-ს ხარჯმა შეადგინა 38,7 ათასი ლარი ნაცვლად 53,0 ათასი ლარისა.
- ❖ ააიპ "სახელოვნებო სკოლის ხარჯმა შეადგინა 83,2 ათასი ლარი, ნაცვლად 112,0 ათასი ლარისა.
- ❖ ააიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულების გაერთიანება-კულტურის ცენტრი"-ს ხარჯმა შეადგინა – 175,7 ათასი ლარი.
- ❖ სამუსიკო სკოლების სუბსიდირების ხარჯმა შეადგინა 126,6 ათასი ლარი, მათ შორის: ააიპ "თეთრიწყაროს სამუსიკო სკოლის" ხარჯმა ნაცვლად 155,1 ათასი ლარისა შეადგინა 98,7 ათასი ლარი, ხოლო "მანგლისის სამუსიკო სკოლის" ხარჯმა 27,9 ათასი ლარი ნაცვლად 30,6 ათასი ლარისა.

❖ კულტურის ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 93,4 ათასი ლარი. მათ შორის 99,4 ათასი ლარი გადარიცხულია ააიპ "მანგლისისა და წალკის ეპარქიის განვითარების ფონდში"

✓ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 555,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (777,9 ათასი ლარი) 71,4 %**

❖ ააიპ „თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი"-ს მიერ ათვისებულია 64,5 ათასი ლარი.
❖ სოციალურ პროგრამებზე 490,8 ათასი ლარი.

**ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2016-2021 წლებში**

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის გეგმა | 2021 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 11,268.0 | 10,402.8 | 7,320.0 | 7,380.0 | 7,610.0 | 7,910.0 |
| გადასახადები | 3,374.2 | 3,380.0 | 2,800.0 | 2,955.0 | 3,055.0 | 3,155.0 |
| გრანტები | 7,508.5 | 6,650.4 | 4,111.6 | 4,117.0 | 4,220.0 | 4,392.0 |
| სხვა შემოსავლები | 385.3 | 372.4 | 408.4 | 308.0 | 335.0 | 363.0 |
| ხარჯები | 6,106.1 | 6,316.7 | 6,436.4 | 6,784.7 | 7,068.7 | 7,358.7 |
| შრომის ანაზღაურება | 1,738.4 | 1,373.7 | 1,616.0 | 1,366.6 | 1,365.6 | 1,365.6 |
| საქონელი და მომსახურება | 1,692.6 | 2,091.1 | 2,359.4 | 2,272.4 | 2,327.4 | 2,392.4 |
| პროცენტი | 141.2 | 0.0 | 0.0 | 203.3 | 203.3 | 203.3 |
| სუბსიდიები | 1,939.9 | 2,227.1 | 2,161.0 | 2,460.0 | 2,605.0 | 2,830.0 |
| გრანტები | 0.0 | 20.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 516.1 | 476.9 | 280.0 | 435.0 | 510.0 | 530.0 |
| სხვა ხარჯები | 77.9 | 127.9 | 20.0 | 47.4 | 57.4 | 37.4 |
| საოპერაციო სალდო | 5,161.9 | 4,086.1 | 883.6 | 595.3 | 541.3 | 551.3 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2,475.4 | 7,378.9 | 680.3 | 392.0 | 338.0 | 348.0 |

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის გეგმა | 2021 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზრდა | 2,529.7 | 7,388.9 | 700.3 | 412.0 | 368.0 | 388.0 |
| კლება | 54.3 | 10.0 | 20.0 | 20.0 | 30.0 | 40.0 |
| მთლიანი სალდო | 2,686.5 | -3,292.8 | 203.3 | 203.3 | 203.3 | 203.3 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 2,686.5 | -3,496.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 3,496.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები ბოლო | 3,496.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 809.6 | 3,496.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები საწყისი | 809.6 | 3,496.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ცვლილება | 0.0 | -203.3 | -203.3 | -203.3 | -203.3 | -203.3 |
| კლება | 0.0 | 203.3 | 203.3 | 203.3 | 203.3 | 203.3 |
| საშინაო | 0.0 | 203.3 | 203.3 | 203.3 | 203.3 | 203.3 |
| ბალანსი | 0.010 | 0.0 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |

## თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების დაფინანსების მოცულობა, აღწერა, შედეგები და შეფასების ინდიკატორები

### 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| | დასახელება | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 2,370.7 | 2,436.5 | 2,447.5 | 2,632.5 |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 1,090.7 | 807.6 | 768.6 | 743.6 |
| 03 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 1,275.1 | 1,624.0 | 1,674.0 | 1,834.0 |
| 03 02 01 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 300.0 | 311.0 | 311.0 | 411.0 |
| 03 02 02 | საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების გაწმენდა | 5.6 | 8.0 | 8.0 | 8.0 |
| 03 02 03 | გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 123.5 | 350.0 | 350.0 | 360.0 |
| 03 02 04 | დასუფთავების ღონისძიებები | 846.0 | 955.0 | 1,005.0 | 1,055.0 |
| 03 02 05 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 4.9 | 4.9 | 4.9 | 54.9 |
| 03 03 01 | საბავშო ბაღების სპორტული მოედნების და ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია | 0.0 | 0.0 | 0.0 | 50.0 |
| 03 03 02 | ურბანული ტერიტორიის მოწყობა, | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 03 03 | მიწის აზომვითი და საპროექტო სამუშაოები | 4.9 | 4.9 | 4.9 | 4.9 |
| 03 04 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

## *1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)*

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება. 2018-2021 წლებში დაგეგმილია თეთრიწყაროში ცენტრალური გზიდან სოფლებამდე მისასვლელი გზის მოასფალტება, ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. მშენებლობა–რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა;

### მოსალოდნელი შედეგი

- ✓ მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- ✓ ეკონომიკური და ტურისტული ინტენსივობის ზრდა;
- ✓ საავტომობილო გზების, წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების, საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით;

### შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ✓ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი საავტომობილო გზების მახასიათებლები;
- ✓ მოწესრიგებული ქუჩების, მოედნების, შიდაკვარტალური გზების და ეზოების ფართობი.
- ✓ რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობა;
- ✓ ტურისტების რაოდენობა.
- ✓ შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი;

## *2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)*

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება.

### 2.2.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების (სასმელი წყლის) ქსელის მოვლა-შენახვა. ჭაბურღილების მოწყობა.

### 2.2.2. საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროში მდებარე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები.

### 2.2.3. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა შენახვა.

### 2.2.4. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. აგრეთვე ქალაქ თეთრიწყაროში განხორციელდება ხეების გადაბელვა

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- ✓ განათებული მუნიციპალიტეტი;
- ✓ განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება;
- ✓ ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.
- ✓ გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;
- ✓ გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ✓ ექსპლოატაციაში არსებული სანათი წერტილების რაოდენობა;
- ✓ განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსიობა
- ✓ გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
- ✓ დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი.
- ✓ რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;

- ✓ რეგისტრირებული შენობა-ნაგებობების და მიწის რაოდენობა
- ✓ კმაყოფილი მოსახლეობა

## *2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა.*

### 2.3.1. საბავშო ბაღების სპორტული მოედნების და ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)

თეთრიწყაროს ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია: მათ შორის საბავშო ბაღების რეაბილიტაცია მშენებლობა და მრავალბინიანი შენობების სახურავების რეაბილიტაცია. ახალაშენებული საბავშო ბაღების კეთილმოწყობა.

### 2.3.2. ურბანული ტერიტორიის მოწყობა, (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.თეთრიწყაროს ურბანულ განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობისა და ახალგაზრდების ჩართულობა.

### 2.3.3. მიწის აზომვითი და საპროექტო სამუშაოების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწების საკადასტრო აზომვითი ნახაზების - ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- ✓ მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
- ✓ ქალაქის კეთილმოწყობა
- ✓ მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენა, უძრავი ქონების რეგისტრაცია.
- ✓ გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- ✓ მოსახლეობისათვის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ✓ მუნიციპალიტეტში დასასვენებელი ადგილების რაოდენობის ზრდა

- ✓ მუნიციპალიტეტის სასოფლო სამეურნეო და არასასოფლოსამეურნეო მიწების აღრიცხვა. გაადვილდება მათი პრივატიზება, გაქირავება, იჯარა.
- ✓ კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა.

## 2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

| | დასახელება | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 820.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| 04 01 | თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელშეწყობა | 820.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |

## 2.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 750-მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ბავშვთა კვების გარდა აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

### მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ✓ აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა
- ✓ საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი
- ✓ სკოლამდელი აღზრდის მოზარდების განვითარებისათვის კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა.

- ✓ სკოლამდელი აღზრდის მოზარდების ტრანსპორტირება სასწავლო დაწესებულებებში.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ✓ სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- ✓ აღსაზრდელთა რაოდენობა
- ✓ აღსაზრდელთა გადაადგილების მომსახურება;

## 3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

| | დასახელება | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა და სპორტი | 776.0 | 985.0 | 1,100.0 | 1,195.0 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 170.0 | 200.0 | 220.0 | 250.0 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 606.0 | 785.0 | 880.0 | 945.0 |
| 05 02 01 | ააიპ „თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი" | 63.0 | 65.0 | 70.0 | 75.0 |
| 05 02 02 | ააიპ "სახელოვნებო სკოლა" და კულტურული ღონისძიებები | 112.0 | 150.0 | 160.0 | 170.0 |
| 05 02 03 | ააიპ "თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება-კულტურის ცენტრი." რელიგია; კულტურული ღონისძიებები | 270.0 | 400.0 | 450.0 | 500.0 |
| 05 02 04 | სამუსიკო სკოლები, | 161.0 | 170.0 | 200.0 | 200.0 |

### 3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტულ სკოლა აერთიანებს 11 სპორტულ სექციას და 200-მდე სპორტსმენს.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- ✓ მოზარდ ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა
- ✓ სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ✓ სვადასხვა სპორტულ შეჯიბრებების მოწყობა
- ✓ ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა; სხვადასხვა ტურნირებზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა.

### 3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

#### 3.2.1 მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 01)

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, რომელიც იცავს 11000 -მდე ექსპონატს.

#### 3.2.2 სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 02)

პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში გაერთიანებულია 12 წრე.

#### 3.2.3 კულტურის გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 03)

2018 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ააიპ "თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება- კულტურის ცენტრი." გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია 8 ბიბლიოთეკა. სადაც მკითხველთა რაოდენობა შეადგენს ყოველთვიურად 1580-მდე მკითხველს და ფუნქციონირებს 12 წრე.

### 3.2.4 მუსიკალური სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ორი მუსიკალური სკოლა _ თეთრიწყაროს და მანგლისის სახელოვნებო სკოლები. სადაც სწავლობს 210-მდე მოსწავლე.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- ✓ მოსახლეობაში ქართული კულტურისა და ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება;
- ✓ მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;
- ✓ კულტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება და დაცვა.
- ✓ საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა;
- ✓ მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ✓ ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- ✓ რეაბილიტირებული კულტურული ობიექტების რაოდენობა;
- ✓ კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდდენობა.
- ✓ მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა
- ✓ მუზეუმებში მოწყობილი გამოფენების და წარმოდგენილი ექსპოზიციების რაოდენობა.

## 4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას

| | დასახელება | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 545.0 | 705.0 | 810.0 | 860.0 |
| 06 01 | ააიპ „თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი" | 100.0 | 90.0 | 100.0 | 110.0 |
| 06 02 | სოციალური პროგრამები | 445.0 | 615.0 | 710.0 | 750.0 |
| 06 02 01 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ერთჯერადი დახმარება, მზობიარეთა დახმარება | 180.0 | 250.0 | 300.0 | 300.0 |
| 06 02 02 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 165.0 | 180.0 | 200.0 | 220.0 |
| 06 02 03 | მარჩენალდაკარგულ პირთა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 40.0 | 70.0 | 70.0 | 70.0 |
| 06 02 04 | დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება | 15.0 | 40.0 | 50.0 | 60.0 |
| 06 02 05 | გადაუდებელი აუცილებლობის, სტიის, უბედური და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევებისას ნატურალური თუ ფულადი ფორმით დახმარება | 20.0 | 40.0 | 50.0 | 60.0 |
| 06 02 06 | მეორე მსოფლიო ომისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ან მათთან გათანაბრებულ პირების დახმარება | 15.0 | 15.0 | 20.0 | 20.0 |
| 06 02 07 | სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის და იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში დახმარება | 10.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 |

## 4.1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი ძირითადად 10 პროგრამას აფინანსებს.

- C ჰეპატიტის ელიმინაციის ღონისძიებები
- სანიტარული ჰიგიენური ღონისძიებები

- ტუბერკულიოზის ეპიტზედამხედველობის ღონისძიებები
- მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები
- ვერბალური აუტოფსიის ღონისძიებები
- მოსახლეობის ანტირაბიული დახმარების ხელშეწყობის ღონისძიებები
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებები
- ეპიდზედამხედველობის და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიებები
- საზოგადოებივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებები
- დეზინფექციისა და დერატიზაციის ღონისძიებები

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება გადამდები და საშიში ინფექციური დაავადებების კერების ლიკვიდაცია
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ✓ ეპიდაფეთქებების არარსებობა, იმუნიზირებული მოსახლეობის რაოდენობა, ჯანსაღი მოსახლეობა;
- ✓ პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

**4.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**4.2.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

**4.2.2. ხანზაზმულთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კერძოდ ქალაქში რეგისტრირებულ ბენეფიციართა ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა(77 ბენეფიციარი) და სოფლად რეგისტრირებულ ბენეფიციართა ყოველთვიური მშრალი პროდუქტებით დახმარება (313 ბენეფიციარი).

**4.2.3 მარჩენალდაკარგულ პირთა და ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ხუთი და მეტ შვილიანოჯახებს თითოეულ არასრულწლოვან (18 წლამდე) ბავშვზე ყოველთვიური დახმარება 20 ლარი (190 ბენეფიციარზე მეტი) უდედმამო ბავშვებზე (18 წლამდე) 200 ლარი

**4.2.4. დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯებისთვის ერთჯერადი დახმარება 250 ლარი

**4.2.5 გადაუდებელი აუცილებლობის, სტიქიის, უბედური და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევებისას ნატურალური თუ ფულადი ფორმით დახმარება. (პროგრამული კოდი 06 02 05)**

გადაუდებელი აუცილებლობის, სტიქიის, უბედური და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევებისას ნატურალური თუ ფულადი ფორმით დახმარება.

### 4.2.6 მეორე მსოფლიო ომისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისატვის მებრძოლი ან მათთან გათანაბრებულ პირების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა ან მათთან გათანაბრებული პირების გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯები: ომის მონაწილეზე 250 ლარი, მათთან გათანაბრებულ პირებზე 100 ლარი

### 4.2.7 სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის და იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯი 250 ლარი, სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრის. გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯი - 100 ლარი.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- მუნიციპლიტეტში არსებული სოციალური ფონის გაუმჯობესება
- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება
- ხანდაზულ მოქალაქეთა დახმარება

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ჯანსაღი მოსახლეობის ზრდა
- წარმატებული სოციალური პროექტების რაოდენობა
- სოციალურად უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა

## 5. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები.

| | დასახელება | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 91.9 | 91.6 | 90.6 | 90.6 |
| 02 01 | საგანგებო სიტუაციების მართვა (საზანძრო) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 03 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (სამხედრო) | 91.9 | 91.6 | 90.6 | 90.6 |

## 5.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გეგმის მაქსიმალური შესრულება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- გაწვეულთა რაოდენობის ზრდა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ქორიძე

საფინანსო საბიუჯეტო და შესყიდვების

სამსახურის I რანგის

I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ეკატერინე აფციაური